

**ხელოვნება და ხელოვანები რომის კათოლიკური ეკლესიის მეცენატობის
პირობებში - მიქელანჯელოს მიერ განხორციელებული პროექტების
მაგალითზე**

გიორგი ჭეიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე პოლიტიკის ანთროპოლოგის
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პოლიტიკის მეცნიერება

**სამეცნიერო ხელმძღვანელი: ხათუნა ხაბულიანი, ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტის დოქტორანტი**

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

გიორგი ჭეიშვილი -

14.06.2014

აბსტრაქტი

კვლევა - „ხელოვნება და ხელოვანები რომის კათოლიკური ეკლესიის მეცენატობის პირობებში - მიქელანჯელოს მიერ განხორციელებული პროექტების მაგალითზე“ ერთგვარი მცდელობაა წარმოვაჩინოთ ყველა ის ძირითადი ტენდენცია, რაც XV-XVI საუკუნის დასავლურ კულტურაში არსებობდა და მკაფიოდ ავსახოთ ხელოვანისა და რომის კათოლიკური ეკლესიის ურთიერთობის ქრონიკა, რაც პირდაპირ არის დაკავშირებული მიქელანჯელო ბუონაროტის შემოქმედების სხვადასხვა ეტაპებსა და მათ თავისებურებებთან.

კვლევის მიზანია წარმოაჩინოს რენესანსის პერიოდში, ხელოვნების განვითარებაში რომის კათოლიკური ეკლესიის მიერ შეტანილი წვლილი, იმისათვის, რათა კონკრეტული ფაქტების მეშვეობით დავინახოთ, თუ რა სერიოზული როლი შეასრულა (შესაძლოა გაუცნობიერებლადაც) ძლიერმა რელიგიურმა ინსტიტუციამ ხელოვნების განვითარებაში და ეპოქისა და ჰუმანისტური მსოფლმხედველობის გათვალისწინებით, ამ ეკლესიის მსოფხედველობის მიუხედავად, ცენზურის აპარატად არ იქცა. ეს კი სრულიად საპირისპირო სურათია იმ ვითარებისა, რაც XXI საუკუნის საქართველოში სუფევს, ქვეყანაში, სადაც უფრო და უფრო ძლიერდება ტენდენცია, რომლის მიხედვითაც სასულიერო პირები და მათი პოზიციის გამზიარებელი საზოგადოებრივი ჯგუფები ავტორებსა და მათ შემოქმედებას კონკრეტულ ჩარჩოებს უწესებენ და ცენზურის ერთგვარ აპარატად გვევლინებიან.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ კვლევის ფარგლებში XV-XVI საუკუნის კათოლიკური ეკლესიის იმ ლიდერების დამოკიდებულება ხელოვნებისა და ხელოვანების მიმართ, რომელთაც ფლორენციელ მოქანდაკე, მხატვარ და არქიტექტორ მიქელანჯელო ბუონაროტისთან მოუხდათ თანამშრომლობა ბევრად უფრო პროგრესულია, ვიდრე ის აგრესიით გაჟღენთილი დამოკიდებულება, რასაც საქართველოში არსებული რელიგიური და საზოგადოებრივი ჯგუფები იჩენენ თანამედროვე, „არაკონიუნქტურული“ შემოქმედებისა და ხელოვანების მიმართ.

ძირითადი საძიებო სიტყვები: მიქელანჯელო, რომის კათოლიკური ეკლესია, საქართველო, ცენზურა,

Abstract

The research – “Art and Artists in the terms of the Roman Catholic Church’s patronage – on the example of projects made by Michelangelo” – is a sort of attempt to represent all the tendencies that had been existed in XV-XVI century Western culture and to state clearly the relationship chronicles between artists and the Roman Catholic Church, which is directly connected with different periods of Michelangelo Buonarroti’s works and their *peculiarities*.

The goal of the project is to point out the contribution made by the Roman Catholic Church in the *Renaissance Period*, in order to show the important role played by strong religious institution in development of art (maybe even unconsciously) and to represent how the Roman Catholic Church did not turned into censorship mechanism, no matter of its beliefs, in consideration of the epoch and humanist ideology. There is a *completely different situation in Georgia in 21st century, in the country where ecclesiastics and the social groups sharing church’s positions are oppressing artists and art* and they act like some kind of censorship mechanism.

In conclusion we can say that in the limits of this research the attitude of Roman Catholic Church’s leaders to art and artists, which had relation with sculptor, artist and architect Michelangelo Buonarroti, was much progressive, than this aggressive attitude of Georgian religious and social groups to contemporary, non-conjunctive art and artists.

Keywords: Michelangelo, Roman Catholic Church, Georgia, Censorship